სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს

ეროვნული თავდაცვის აკადემია

აკადემიის მეთაურის ბრიგადის გენერალ მამია ბალახაძის ხედვა

2026

ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე

აკადემიის მეთაურის ხედვა

1. ინსტიტუციური განვითარება და მდგრადობა.

აკადემია, როგორც თავდაცვის ძალების უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულება მუდმივად ორიენტირებულია განვითარებაზე. მისი მიზანია შექმნას კიდევ უფრო მეტად გამჭვირვალე, ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული მართვის სისტემა; უზრუნველყოს აკადემიური თავისუფლება და სამხედრო დისციპლინის დაბალანსებული თანაარსებობა; ხელი შეუწყოს ადამიანური კაპიტალის განვითარებას - პროფესორ-მასწავლებლების, ინსტრუქტორებისა და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტ პროფესიულ ზრდას.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოთხოვნების და ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის ფარგლებში აკადემიაში დაგეგმილია საგანმანათლებლო პროგრამების სრულად ადაპტირება რეფორმის ფარგლებში დადგენილ სტანდარტებთან.

2026 წელს აკადემიაში დაგეგმილია კიბერუსაფრთხოების და თავდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო და საერთაშორისო ურთიერთობების და სამხედრო დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და აკრედიტაცია.

ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის ფარგლებში აკადემიაში არსებული ყველა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება „1+1“ სისტემით, რაც მომავალ მაგისტრანტებს საშუალებას მისცემთ აკადემიაში ისწავლონ როგორც ერთწლიან, ასევე ორწლიან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

აღსანიშნავია, 2025 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოთხოვნების შესაბამისად განვახორციელეთ მსმენელთა მიღება ახალ საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამაზე.

2025 წელს ნატოს მოკავშირეთა ტრანსფორმაციის სარდლობის მიერ აკადემიაში შექმნილ „კონტრტერორიზმი და ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლა“ სასწავლო კურსს ოფიციალურად მიენიჭა NATO SELECTED სტატუსი, რაც ქმნის მყარ წინაპირობას ნატოს ინსტიტუციური აკრედიტაციის მოპოვებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში წარმატებით ფუნქციონირებს დისტანციური სწავლების ცენტრი, რომელიც თავდაცვის ძალების და თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნების და პრიორიტეტების გათვალისწინებით ამზადებს როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, ასევე სამოქალაქო პერსონალს. ცენტრი ახლო მომავალში გეგმავს უსაფრთხოების სექტორის სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს შესთავაზოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა კურსები.

სწორედ დისტანციური სწავლების ცენტრის ორგანიზებით 2025 წელს პირველად საპილოტე რეჟიმში წარმატებით ჩატარდა „კონტრ-ტერორიზმი და ამბოხებულთა წინააღმდეგ ბრძოლის“ კურსი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის და უსაფრთხოების სექტორის სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისთვის.

2. იუნკერთა/მსმენელთა სამხედრო მომზადება და სრულყოფა.

აკადემიისთვის უმნიშვნელოვანესია ღირსეული მომავალი სამხედრო ლიდერების მომზადება. აკადემიის ყველა კურსდამთავრებულს უნდა გააჩნდეს ლიდერისთვის დამახასიათებელი აუცილებელი უნარ-ჩვევები და სამხედრო მომზადების ისეთი დონე, რომელიც განაპირობებს ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში მათ კონკურენტუნარიანობას.

ჩვენ ვახორციელებთ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა აკადემიის ყველა კურსდამთავრებული იყოს საუკეთესო საუკეთესოთა შორის.

აკადემიამ უნდა უზრუნველყოს, რომ იუნკერები/მსმენელები იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე, სამხედრო ლიდერის დამახასიათებელი თვისებებითა და საჭირო ცოდნით აღჭურვილნი. მათ უნდა გააჩნდეთ მზაობა მშვიდობიანობის დროს და კრიზისულ ვითარებაში მართონ შესაბამისი ზომის ქვედანაყოფები.

აკადემიის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იუნკერებს/მსმენელებს გააჩნდეთ საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო პერსონალისთვის განსაზღვრული სამხედრო მომზადების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

სამხედრო მომზადების დონის ამაღლებისათვის, 2026 წელს ჩვენ გავაგრძელებთ აკადემიაში არსებული სამხედრო დისციპლინების თავდაცვის ძალების მოთხოვნებზე ორიენტირებული სწავლების ხარისხის ამაღლებას საბრძოლო მომზადების (ტაქტიკა, სამხედრო ტოპოგრაფია, საცეცხლე მომზადება და ა.შ. ასევე სამხედრო-მხარდამჭერი სასწავლო კურსები) მიმართულებით. ხსენებულ პროცესში მთავარი ორიენტირი იქნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განახლება თავდაცვის ძალების მოთხოვნებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. ასევე ინსტრუქტორთა პროფესიული განვითარება და ტრენინგები სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდიკაში.

გარდა ამისა, თეორიულ სწავლებასთან ერთად ხელს შევუწყობთ იუნკერთა/მსმენელთა სამხედრო-პრაქტიკული უნარ-ჩვევების უფრო მეტად განვითარებას. აკადემია პრაქტიკულ სავარჯიშოებს და საველე სწავლებებს უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიებით. ვგეგმავთ, იუნკერებისათვის/მსმენელებისათვის ერთობლივ საველე სწავლებებს/გასვლებს მოქმედ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, რომლებსაც აქვთ მონაწილეობის გამოცდილება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) მიერ განხორციელებულ სამხედრო წვრთნებში. ხსენებული საველე სწავლებების და კურსების განხორციელების ნაწილში ქმედითად იქნებიან ჩართულნი თავდაცვის ძალების სხვადასხვა სარდლობები, რომლებიც თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას გაუზიარებენ აკადემიის იუნკერებსა და მსმენელებს.

2026 წელს აქტიურად გაგრძელდება თანამშრომლობა უცხო ქვეყნების პარტნიორ სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. პანდემიური ვითარების გამოცდილების გათვალისწინებით, თანამშრომლობა ასევე განხორციელდება დისტანციურ რეჟიმშიც. აკადემია უზრუნველყოფს დაგეგმილ პროგრამებში იუნკერთა/მსმენელთა მონაწილეობის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

წლის განმავლობაში გაგრძელდება მაღალი რანგის სამეთაურო რგოლის ვიზიტები აკადემიაში სპიკერების პროგრამის ფარგლებში და ვიზიტები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში.

იუნკერები და მსმენელები კვლავ გაივლიან მარტოხელა მებრძოლის, წყალზე მომზადების, აერომობილური მომზადების და სამთო მომზადების კურსებს, აგრეთვე ზამთრის ტაქტიკურ სწავლებას რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, უპილოტო საფრენი აპარატების სწავლებას, შემაჯამებელ

სწავლებას სხვადასხვა დისტანციაზე (100 კმ, 120კმ, 150კმ) და სტაჟირებას თავდაცვის ძალებში.

აღნიშნული სამხედრო პრაქტიკული სწავლებები ახალ საფეხურზე აიყვანს აკადემიაში მიმდინარე სამხედრო მომზადების დონეს.

2.1 იუნკერის/მსმენელის ლიდერული უნარ-ჩვევების ფორმირება და განვითარება.

აკადემია წარმოადგენს სტრატეგიული აზროვნების, სამხედრო განათლებისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტელექტუალურ საყრდენს, რომელიც ქმნის მომავალ ლიდერებს არა მხოლოდ ომისთვის, არამედ მშვიდობის, კრიზისების მართვისა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარებისათვის. შესაბამისად აკადემიაში უწყვეტად მიმდინარეობს იუნკერებისათვის ლიდერისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების შესწავლა/განვითარება.

სწავლების პროცესში, იუნკერთა მიერ უნარ-ჩვევების გამომუშავებისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს იუნკერთა სხვადასხვა დონის სამეთაურო თანამდებობებზე განაწილებასა და როტაციაზე, ქვედანაყოფებში პრაქტიკის მიღებაზე, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა/შენარჩუნებაზე. აღსანიშნავია, რომ აკადემიაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა „ამოცანით მართვის“ ფილოსოფიის გააზრებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. „ამოცანით მართვის“ კულტურის დანერგვით აკადემიის კურსდამთავრებულები, შემდგომში როგორც უმცროსი მეთაურები საჭიროების შემთხვევაში შეძლებენ ინიციატივის გამოჩენას, გონივრული რისკების აღებას და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას.

2.2 კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება.

სამხედრო მოსამსახურის ლიდერად ჩამოყალიბების განუყოფელ ნაწილად მიგვაჩნია იუნკერთათვის კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია აკადემიის მიერ განხორციელებულ პროგრამებში კრიტიკული აზროვნების, სამხედრო მოქმედების სცენარების და მოქმედების შემდგომი ანალიზის ინტეგრირება. აკადემიაში სწავლის პერიოდში იუნკერები უნდა მიეჩვიონ ოპერატიულ, სტრატეგიულ, ანალიტიკურ, კრიტიკულ და კრეატიულ აზროვნებას, გაითავისონ დისციპლინისა და კანონის უზენაესობა. აუცილებელია იუნკერებს ჩამოუყალიბდეთ სახელმწიფოებრივი აზროვნება და გააცნობიერონ თავისი, როგორც რიგითი მოქალაქის, ასევე სამხედრო მოსამსახურის ვალი სამშობლოს წინაშე.

2.3 სამხედრო ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება.

მაღალი ფიზიკური მომზადების გარეშე შეუძლებელია იუნკერს, მსმენელს, აკადემიის სამხედრო მოსამსახურეებს ჰქონდეთ საკმარისი ფიზიკური რესურსი, ამტანობა და სიმტკიცე სამხედრო წვრთნებში მონაწილეობის მისაღებად. იუნკერებისათვის, მსმენელებისათვის, აკადემიის სამხედრო მოსამსახურეებისათვის მაღალი ფიზიკური მომზადების დონის გასაუმჯობესებლად ფიზიკური მომზადებისას პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს სამხედრო ამტანობის/გამძლეობის ვარჯიშები, სამხედრო ფიზიკური მომზადებისა და ფიზიკური მომზადების ინდივიდუალური (სპეციალური) პროგრამების შედგენა/განხორციელება.

აკადემიის ფიზიკური მომზადების პროგრამები და გეგმები უნდა ემსახურებოდეს იუნკერებისათვის, მსმენელებისათვის და აკადემიის სამხედრო მოსამსახურეებისათვის ფიზიკური მომზადების დონის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან, როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მომზადების დონის ამაღლებას.

3. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება/სრულყოფა.

ვინაიდან აკადემია არის საქართველოში ერთადერთი სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სათანადოდ ვიაზრებთ ჩვენ მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელობას ქვეყნისა და საქართველოს თავდაცვის ძალებისათვის.

აკადემია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხით მიზნად ისახავს შექმნას კიდევ უფრო მეტად თანამედროვე, მტკიცებულებებსა და დოქტრინებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამები. აგრეთვე უზრუნველყოს სამხედრო განათლების მეტი ინტეგრირება უსაფრთხოების, თავდაცვის მენეჯმენტის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების სფეროებთან.

მნიშვნელოვანია, რომ 2023 წელს აკადემიამ უზრუნველყო რეზერვის უმცროსი ოფიცრის ნებაყოფლობითი სამხედრო მომზადების პროგრამის შემუშავება და 2024 წლიდან აკადემიაში პირველად განხორციელდა აღნიშნულ პროგრამაზე მსმენელთა მიღება და სასწავლო პროცესი, რომელიც წარმატებით გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს პირველად, აკადემიაში დაიწყო სწავლება უმცროსი ოფიცრების სამხედრო მომზადების პროგრამაზე 11-თვიან წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ფარგლებში გაწვეული პირებისთვის. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს უნიკალურ და პრეცედენტულ ინიციატივას, რომლის მიზანია პროფესიონალურად მომზადებული უმცროსი ოფიცრების მომზადება.

თავდაცვის ძალებში უცხოური ენის ცოდნის დონის ამაღლებისათვის აკადემიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ახორციელებენ B2 (B2+) დონეზე ინგლისური, გერმანული, ფრანგული და თურქული ენების შესწავლას, მათ შორის ძირითადი შესასწავლი უცხოური ენის გარდა შეთავაზებულ იქნება არჩევითი უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული და თურქული ენები).

2025 წელს აკადემიამ წარმატებით გაიარა სახელმწიფო რესურსების მართვის სამაგისტრო, მენეჯმენტის და ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაცია და საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

2026 წელს აკადემიაში დაგეგმილია მექანიკის ინჟინერიის და საავიაციო ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაცია. აგრეთვე, კიბერუსაფრთხოების და თავდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო და საერთაშორისო ურთიერთობების და სამხედრო დიპლომატიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და აკრედიტაცია.

4. სამეცნიერო კვლევების და ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება

2026 წელს აკადემიაში კიდევ უფრო მეტად განვითარდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. აკადემია სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას ორიენტირებული უნდა იყოს: თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოთხოვნებზე; ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით კვლევების განხორციელებაზე; სტრატეგიული ანალიზის, ჰიბრიდული საფრთხეების, კიბერუსაფრთხოების, ოპერატიული დაგეგმვისა და სამხედრო ლიდერობის მიმართულებების აქტუალური საკითხების კვლევაზე; სახელმწიფო ინსტიტუტებისა და თავდაცვის ძალებისათვის ანალიტიკური მხარდაჭერისა და რეკომენდაციების გაცემის მიმართულებით; აკადემიის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მხარდამჭერ სხვადასხვა საგრანტო პროექტის მოპოვებისა და განხორციელებისათვის საჭირო კვლევებზე.

ასევე, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აქტიურად გააგრძელებს მუშაობას შემდეგი მიმართულებებით: თავდაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული მოთხოვნების შესაბამისად პრიორიტეტული მიმართულებებით კვლევითი საქმიანობა, საერთაშორისო და შიდა სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციების და სიმპოზიუმების ორგანიზება და ჩატარება, საერთაშორისო გრანტების მოძიება-მოპოვება, ახალი კონტაქტების მოძიება და კომუნიკაციის დამყარება უცხოურ სამეცნიერო კვლევით ორგანიზაციებთან, სამეცნიერო ნაშრომთა ჟურნალების და საკონფერენციო ნაშრომთა კრებულების დაბეჭდვა-გამოცემა.

აკადემია წაახალისებს პირადი შემადგენლობის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობასა და მათ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. გარდა ამისა, მხარს დაუჭერს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო და სამოქალაქო პირადი შემადგენლობის ჩართულობას კონფერენციების ჩატარებაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2024 წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურების მიზნით შეიქმნა მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი „Think Tank", რომელიც წარმატებით ფუნქციონირებდა 2025 წელს და ასევე წარმატებით გააგრძელებს ფუნქციონირებას მიმდინარე წელს.

2025 წელს განხორციელდა აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება/განახლება უახლესი სასწავლო და შემეცნებითი ლიტერატურით, რომლის შევსება/განახლების პროცესი ასევე 2026 წელსაც გაგრძელდება.

2026 წელს აკადემია უფრო მეტად განავითარებს ელექტრონული ბიბლიოთეკის სისტემას, მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე წვდომას და აკადემიაში მოქმედი საერთაშორისო სამეცნიერო

ჟურნალის აღნიშნულ ბაზებში გაწევრიანებას, რაც საქართველოს თავდაცვის სისტემაში დასაქმებულ, კვლევითი საქმიანობით დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემს ჰქონდეთ წვდომა მსოფლიოში არსებულ ელექტრონული სახის წიგნადი ფონდის მნიშვნელოვან ნაწილზე.

5. დისტანციური სწავლების ცენტრის განვითარება.

საგანმანათლებლო სივრცეში არსებული უახლესი გამოწვევებიდან გამომდინარე, 2026 წელს აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრმა უნდა გააფართოოს მისი საქმიანობის არეალი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეული მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, რათა აკადემიაში მიმდინარე სასწავლო პროცესი წარიმართოს შეფერხების გარეშე. 2026 წელს გაგრძელდება ცენტრის პირადი შემადგენლობის გადამზადება და უცხოელი პარტნიორების გამოცდილების გაზიარება. ცენტრი უზრუნველყოფს თავდაცვის ძალებზე შეთავაზებული სწავლებების ჩატარებას, სამიზნე აუდიტორიისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ახალი ფასიანი კურსების შექმნას და უკვე არსებული კურსების ჩატარებას, დისტანციური სწავლების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას, ინგლისური ენის ცოდნის შენარჩუნებისა და თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოთხოვნების შესაბამისად სხვა საჭირო სასწავლო კურსების შექმნას/განხორციელებას.

აკადემიის იუნკერებისათვის/მსმენელებისათვის, თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო და სამოქალაქო პირებისათვის, ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობით გაიზრდება განათლების ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, ცენტრის ფუნქციონირება ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის ძალების ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) სტანდარტებთან დაახლოებას.

6. საერთაშორისო ინტეგრაცია და თანამშრომლობის გაძლიერება.

ორმხრივი თანამშრომლობისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში აკადემია კვლავ გააგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას აშშ-ს, ევროპის და რეგიონის პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ნატოსთან. ამასთანავე, აკადემიის პრიორიტეტებიდან გამომდინარე მოხდება ახალი კავშირების დამყარება და ერთობლივი გაცვლით პროგრამების, სწავლებების და კვლევით პროექტების ინიცირება; შესაბამისად, დამატებითი შესაძლებლობების მოძიება აკადემიის იუნკერების, მსმენელების და პირადი შემადგენლობისთვის, რათა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მოკლევადიან/გრძელვადიან გაცვლით პროგრამებში და სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში, გაიღრმაონ თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და ითანამშრომლონ მსოფლიოს წამყვანი სამხედრო სასწავლებლების წარმომადგენლებთან.

2026 წელს გაგრძელდება ჩართულობა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) მიერ ხუთი პროგრამის და „ერასმუს+“ ფორმატის ფარგლებში ორგანიზებულ აქტივობებში. გაიზრდება პარტნიორ ქვეყნებთან დაგეგმილ სამხედრო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სპორტული ღონისძიებებისა და მათში ჩართული იუნკერების, მსმენელების, აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალის და ინსტრუქტორების რაოდენობა.

საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, განსაკუთრებით კი სამაგისტრო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას 2026 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა, რათა მიზნობრივი დასაუკეთესო გამოცდილების გაზიარების გზით აკადემიამ ხელი შეუწყოს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას და დაწესებულების ცნობადობის ამაღლებას საერთაშორისო დონეზე.

7. პირად შემადგენლობაზე ზრუნვა და პროფესიული განვითარება.

აკადემიის წინაშე არსებული ნებისმიერი გამოწვევის დასაძლევად, საჭიროა არა მხოლოდ კარგი ლიდერი, არამედ შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მქონე პირადი შემადგენლობა. მტკიცედ გვწამს, რომ კომპეტენტური პირადი შემადგენლობა ნებისმიერი ამოცანის წარმატებით შესრულების ფუნდამენტია.

ზემოხსენებულის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2026 წელს განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება პირად შემადგენლობის განვითარებაზე. აკადემიაში განხორციელდება პირადი შემადგენლობის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები აკადემიის ადამიანური რესურსების მართვისა და

პროფესიული განვითარების კონცეფციის თანახმად. ასევე, განხორციელდება მაღალკვალიფიციური აკადემიური/მოწვეული პერსონალის მოზიდვა.

პირადი შემადგენლობის განვითარების მხარდასაჭერად, აკადემია გეგმავს განახორციელოს პროფესიული განვითარების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აკადემიის პირად შემადგენლობას შესაძლებლობა ექნება მონაწილეობა მიიღოს საქართველოსა და პარტნიორი ქვეყნების მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

აღსანიშნავია, რომ აკადემიაში მუდმივად მიმდინარეობს და 2026 წელსაც გაგრძელდება მაღალი შედეგების მქონე იუნკერების და მსმენელების წახალისების ღონისძიებები. კერძოდ, საუკეთესო შედეგის მქონე იუნკერებს/მსმენელებს და მათ მშობლებს გადაეცემათ მეთაურის მადლობის სიგელი, ხოლო მაღალი შედეგის მქონე სხვა კატეგორიის იუნკერებს/მსმენელებს სახლში ეგზავნებათ მადლობის წერილები.

ასევე მუდმივად მიმდინარეობს აკადემიის სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის დაჯილდოება/წახალისება დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად და მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის.

8. მსმენელების/იუნკერების და აკადემიის თანამშრომლების სოციალური მხარდაჭერა.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელებს/იუნკერებს, პირად შემადგენლობას/თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს 2026 წელსაც ექნებათ შესაძლებლობა უფასო ან შეღავათიანი მომსახურებით ისარგებლონ სხვადასხვა დაწესებულებებში (საგანმანათლებლო, სპორტული, სამედიცინო-სარეაბილიტაციო, კულტურულ-შემეცნებით და ბავშვთა გასართობ სივრცეებში) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აკადემია 2026 წელსაც გააგრძელებს მსმენელების/იუნკერების, პირად შემადგენლობის/თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფას და საჭიროების შემთხვევაში ფინანსურ დახმარებას ჯანმრთელობის პრობლემების გადასაჭრელად.

2026 წლიდან მნიშვნელოვანი სიახლეა აკადემიის პირადი შემადგენლობის/თანამშრომლების და იუნკერების/მსმენელების სამედიცინო მომსახურების კუთხით. აკადემიის ლაზარეთში ფუნქციონირებას დაიწყებს ოჯახის ექიმის კაბინეტი, რაც კიდევ უფრო მეტად გაზრდის სამედიცინო მომსახურების ეფექტიანობას, დააჩქარებს სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს თანამშრომელთა ჯანმრთელობის მონიტორინგის სისტემურ განხორციელებას.

აკადემია 2026 წელსაც განახორციელებს ქვეყნის და რეგიონის მასშტაბით არაერთ სოციალურ-საქველმოქმედო აქციას (სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება და სხვ.)

9. მსმენელების/იუნკერების და აკადემიის თანამშრომლების სერვისები.

2026 წელსაც აკადემია განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს აკადემიის მსმენელების და იუნკერების ისეთი უნიკალური სერვისებით უზრუნველყოფაზე როგორებიც არის: თავდაცვის ძალებში 100%-იანი დასაქმებით უზრუნველყოფა; საცხოვრებლით, უფასო კვებით, აღჭურვილობით და სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მატერიალური და ყველა საჭირო ნივთებით უზრუნველყოფა, სწავლების საფასურის სრულად დაფინანსებით; აკადემიის შიდა (საბაზისო 500 ლარი - აკადემიური მოსწრების მიხედვით დანამატი 100, 200 და 300 ლარი I, II და III კურსზე, ხოლო მეოთხე კურსზე ფიქსირებული 1320 ლარი), დონალდ რამსფელდის სახელობის და მუნიციპალიტეტების-მერიების სხვადასხვა სახის სტიპენდიებით, პერსონალური ლეპტოპით და კორპორატიული ნომრებით უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო და საინფორმაციო პლატფორმებზე, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე, ეროვნულ და საერთაშორისო ბიბლიოთეკების ელექტრონულ და მატერიალურ ლიტერატურაზე წვდომის უზრუნველყოფა.

აკადემია არა მხოლოდ მსმენელებს და იუნეკერებს სთავაზობს უნიკალურ სერვისებს, ამ მიმართულებით ის პირად შემადგენლობაზეც ზრუნავს და 2026 წელსაც შესთავაზებს ისეთ სერვისებს, როგორიც არის ყოველწლიურად ხელფასების 10%-იან მატება; აკადემიის დისტანციურ სწავლების ცენტრში შექმნილი სხვადასხვა ონლაინ კურსების უფასოდ გავლა; საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს

სამხედრო სასწავლებლებში სხვადასხვა სახის კვალიფიკაციის ასამაღლებელი და პროფესიული უნარ-ჩვევების განმავითარებელი კურსების/პროგრამების გავლა.

10. აკადემიაში ორგანიზაციული მართვის და კონტროლის დანერგვა და განვითარება.

აკადემიაში ორგანიზაციული მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარების ფარგლებში განხორციელდება რისკების მართვის სისტემის ეტაპობრივი განვითარება. აღნიშნული პროცესის ფარგლებში გაიზრდება თანამშრომელთა ცნობადობა რისკების მართვის მნიშვნელობისა და პრაქტიკის შესახებ, შემუშავდება რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის შესაბამისი მეთოდოლოგია, აგრეთვე რისკების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი.

რისკების მართვის სისტემა ინტეგრირებული იქნება აკადემიის ყველა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაში, მათი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პერსონალური მონაცემების დაცვისა და შრომის უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებას.

2026 წლის განმავლობაში აკადემიაში განხორციელდება შესაბამისი პრაქტიკების სრულმაშტაბიანი იმპლემენტაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც ხელს შეუწყობს უსაფრთხო და სამართლებრივად გამართული სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებას.

11. ინფრასტრუქტურული განვითარება.

2025 წელს დასრულდა აკადემიის ტერიტორიაზე უნიკალური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის მოწყობა.

2026 წელს კვლავ განხორციელდება ინფრასტრუქტურის და მატერიალური საშუალებების განახლების პროცესი. გაგრძელდება რეკრეაციული და სპორტული სივრცეების შექმნა. განახლდება კალათბურთის მოედანი; განხორციელდება დაბრკოლებათა ზოლის და სამწყობრო მოედანზე არსებული ტრიბუნის რეკონსტრუქცია; დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტირის და ქართული ეთნოგრაფიული სახლის მშენებლობა.

იუნკერთა და მსმენელთა ზოგადი ცოდნის და მოტივაციის ამაღლების მიზნით კვლავ მოეწყობა თემატური აუდიტორიები და საკლასო ოთახები. სამხედრო სწავლებების ხარისხის გასაუმჯობესებლად განახლდება არსებული და ასევე გაგრძელდება ახალი სასწავლო სივრცეების შექმნა.

12. აკადემიის შესახებ ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია.

აკადემიაში იუნკერთა, მსმენელთა და მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვისათვის გაიზრდება აკადემიის ცნობადობის დონე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აკადემია გეგმავს სამიზნე ჯგუფების განსაზღვრასა და ინფორმირებას, რაც მოიცავს პრაქტიკულ საინფორმაციო შეხვედრებს ქვეყნის მასშტაბით არსებულ საჯარო სკოლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან (აბიტურიენტებთან), ბეჭდვითი სარეკლამო მასალის განთავსებას საზოგადოებრივ ცენტრებში, სარეკლამო ვიდეორგოლების განთავსებას სოციალურ ქსელებში და მედია სივრცეში.

აკადემია განახორციელებს თავისი საქმიანობისა და მიღწევების შესახებ შემუშავებული საკომუნიკაციო სტრატეგიის შესაბამისად ინფორმაციის გავრცელებას, ცნობადობის ამაღლებას, წარმატებული იუნკერების/მსმენელების და პროფესორ-მასწავლებლების წარმოჩენით, საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციას და აღნიშნული პროგრამების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებისთვის.